F826ლ 7294


# თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

6 XII 1991 ფასი 50 კაპ. № 46 (51)


## ტაძრად აღყვანება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა



**21 ნოემბერი** (ახალი სტილით 4 დეკემბერი) დიდი საეკლესიო დღესასწაულია. ამ დღეს მოვიხსენებთ ყოვლადწმიდა ქალწული ღმრთისმშობლის ტაძრად აღყვანებას.

როგორც ვიცით, დედათა შორის უსანატრელესი — ქალწული მარიამი — წმიდა და კეთილმსახურ ოჯახში დაიბადა. მამამისი იოვაკიმე და დედამისი ანა — ერთხანს უშვილონი იყვნენ. როდესაც უფალმა მოხედა მათ ვედრებას და მთავარანგელოზის პირით აუწყა შვილის შეძენა, მადლიერმა ანამ უფალს აღუთქვა, რომ თავის შვილს მასვე მიჰგვრიდა „ნიჭად“ (ე. ი. შესწირავდა).

ყოველი სიკეთე ადამიანს ღმრთისაგან ეძლევა. იაკობ მოციქულის სიტყვით — „ყოველივე მოცემული კეთილი და ყოველივე ნიჭი სრული — ზეგარდამო არს გარდამოსრული მამისაგან ნათლისა“ (იაკ. 1, 17). ამიტომაც მისდამი მადლობა თითოეული ადამიანის მოვალეობაა.

აღთქმა კეთილმსახურებისა და სიწმიდისა, სამადლობელი და სადიდებელი მსხვერპლის აღვლენისა — სათნოა ღმრთის წინაშე. აღნათქვამს იგი ლოცვად მიითვლის და ერთგულ მსახურთათვის მადლის გარდამოვლენას არ აყოვნებს. მაგრამ არც ადამიანმა უნდა დააყოვნოს აღნათქვამის შესრულება. „მიუსრულენ მაღალსა აღნათქუემნი შენნი“, — გვასწავლის წმიდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 49,14). აღთქმიდან გარდასვლა (ე. ი. აღთქმის შეუსრულებლობა) ცოდვად შეერაცხება ადამიანს და სასჯელიც არ დააყოვნებს: „აღ-თუ-უთქუა აღნათქუემი უფალსა ღმერთსა შენსა, არა დააყენო აღსრულებაჲ მისი, რამეთუ მიხდით მიუხადოს იგი უფალმან ღმერთმან შენგან და იყოს შენდა ცოდვაჲ“ (II სჯ. 23, 21). წმიდა სოლომონ მეფეც ამასვე წამებს: „უკუეთუ აღსთქვა აღთქმა ღმერთსა, ნუ ჰყოვნი მიცემად მას, რამეთუ არ არს ნება უგუნურთა თანა, შენ უკუე, რაოდენი აღსთქვა, მიეც. კეთილ არს რომელ არა აღთქმად შენდა, ვიდრელა აღთქმასა შენდა და არა მიცემად“ (ეკლესიასტე 5,3-4).

ქალწული მარიამი ორი წლისა რომ გახდა, ღმრთისმოშიშმა იოვაკიმემ თავის ცოლს უთხრა: „**აღვიყვანოთ ყრმაჲ ესე ტაძრად უფლისა და მივსცეთ უფალსა აღნათქუემი ჩუენი, რომელ აღუთქუთ მას, ნუუკუე (ვაითუ) მოავლინოს ჩუენ ზედა უფალმან ძიებაჲ აღნათქუემისა ჩუენისაჲ და უწირავ იყოს შესაწირავი ჩუენი**“. იოვაკიმე შიშობდა, რომ აღნათქვამის შესრულების დაყოვნება მის შეუსრულებლობად ჩაეთვლებოდა.

ანას წინადადებით მესამე წლამდე დაიტოვეს ყრმა და ამის შემდეგ აღიყვანეს იგი ტაძრად. ტაძრისკენ მიმავალთ ანთებული სანთლებით წინ მიუძღოდნენ უბიწო ასულები, „რაჲთა არა გარე-უკუნიხილოს ყრმამან მან და წარიყვანოს გონებაჲ თვისი ტაძრისაგან უფლისა“.

მღვდელთმოძღვარმა, რომელიც მარიამსა და მის მშობლებს ტაძრის კარიბჭესთან შეეგება, აკურთხა ყრმა, ამბორს-უყო და წინასწარმეტყველებით უთხრა: „ჰოჲ მარიამ, განადიდა უფალმან სახელი შენი ყოველსა შორის ნათესავსა, რამეთუ უკანასკნელთა დღეთა გამოუცხადოს ღმერთმან მხსნელი ძეთა ისრაელისათა“.

მღვდელთმოძღვარმა დასვა იგი საკურთხევლის მესამე აღსავალზე (კიბის საფეხურზე) და ამიერიდან წმიდა ქალწული უფლის ტაძარში იმყოფებოდა „ვითარცა ტრედი მხოლოჲ და მოიღებდა საზრდელსა ხელითა ანგელოზისაჲთა“.

მართალნი მშობელნი წმიდა ქალწულისა — იოვაკიმე და ანა — ხარობდნენ, რომ მათი შესაწირავი შეწირულ იქნა. ღმერთმა ზეგარდამო მადლი მოანიჭა მათ ასულს და „შეიყუარა იგი ყოველმან სახლმან ისრაელისამან“.

ღმრთისმშობლის ტაძრად აღყვანების დღესასწაული — მორწმუნეთათვის საღმრთო სიწმიდესთან მიახლების მოწოდებაა. აღვუთქვათ უფალს განუშორებლად მასთან ყოფნა და შევუსრულოთ ეს აღნათქვამი, რაც დღევანდელი ჩვენი ცხოვრების აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა. ქრისტიანად სახელდება საკმარისი არაა იმისათვის, რომ ნამდვილად ქრისტიანები ვიყოთ. თუ არა გვაქვს სული ქრისტესი — სული სიყვარულისა — ვერ ჩავითვლებით მის ჭეშმარიტ მიმდევრებად.

ამისათვის საჭიროა, რომ თითოეული ჩვენგანი გადაიქცეს „ტაძრად ღმრთისა ცხოველისა“, დავემორჩილოთ მის წმიდა ნებასა და მცნებათა შორის უდიადესს — ურთიერთსიყვარულს. მხოლოდ ამით შევძლებთ ჭეშმარიტებით სვლას, შევიმოსავთ ცხოვრების ჩაფხუტსა და სულიერ მახვილს.

ვეკრძალოთ, „ნუუკუე უწირავ იყოს შესაწირავი ჩუენი“.

**ევ. ძლიერელი**

## ადამიანის უფლებაა ჰქონდეს სამშობლო

**მოსკოვის** პუტჩის პერიოდში ერთმა ახლობელმა დამირეკა. სხვათა შორის ისიც მითხრა, ძალიან არ მომეწონა ხელისუფლების პოზიცია ამ მოვლენებთან დაკავშირებით, გვარდია არ უნდა დაემალათო.

მე ვიფეთქე — რა გინდოდათ, რუსებისთვის შეეკლა 17-18 წლის ბიჭები, რომ მერე გელაპარაკათ, ხელისუფლებამ თავის დასაცავად ჩვენი შვილები გაწყვიტაო?

უნდა ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობის დაწყების პირველ ხანებში, ყველა ჩემს ნაცნობთა შორის, სწორედ ამ ადამიანს აფრთხობდა მაშინდელი ოპოზიციის (ანუ ზვიად გამსახურდიას) **ექსტრემიზმი** (გახსოვთ, ალბათ, ოფიციალური ტერმინი არსებობდა ეროვნული სულისკვეთების გამოსახატავად), ერთთავად სულ შიშში იყო, ოპოზიციის ექსტრემიზმს და გამომწვევ ქცევას, „უნებლიეთ“, საპასუხო რეაქცია არ მოჰყოლოდა მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან.

საუბარში ისიც ვუთხარი, ხელისუფლებას არავისთვის დაუშლია პირადი ინიციატივის გამოხატვა, ვისაც გულს დაგაკლდათ და ძალა გერჩოდათ, შეგეძლოთ მოსკოვს წაბრძანება და იარაღით თუ უიარაღოდ, თქვენი პოზიციის გამჟღავნება-მეთქი.

— ასეც ვაპირებდი, მაგრამ იმდენად სწრაფად დამთავრდა ყველაფერი, წასვლა ვერ მოვასწარიო. რა უნდა მეთქვა...

ილია ჭავჭავაძეს, კიევის თუ ოდესის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა კითხვით მიმართეს, მოიწონებთ თუ არა ჩვენს საქციელს, კვიპროსელ ბერძნებს რომ დავუჭიროთ მხარი ოსმალოთა წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ილიამ მისთვის ჩვეული სიდარბაისლით, ყოველმხრივ აწონილი სიტყვა შეაპარა — კვიპროსის თავისუფლებისთვის ბრძოლა ნამდვილად კეთილშობილური საქმეა, მაგრამ თუ ვინმეს გული და ძალა გერჩით, თქვენს ქვეყანას, საქართველოს გამოადექით, არავისზე ნაკლებად არ უჭირსო.

სხვისი არ ვიცი და მე კი, მაგიეებს ხოლმე ეს ქართული ხასიათი. აგვისტომდეც და აგვისტოს მერეც, აქვე, ჩვენს მიწაზე. შიდა ქართლში გვეომება ის რუსის ჯარი, რაღა მოსკოვს უნდა გავემგზავროთ მასთან საომრად? თუ მართლა ისე გულუბრყვილოები ვართ, რომ ვფიქრობთ, ოსები თავის „ზურგით“ აწარმოებენ ომს საქართველოს წინააღმდეგ?

ათასობით შეიარაღებული ადამიანი დღედაღამეს ასწორებდა ტელევიზიის წინ, არარსებული თავდასხმის მოლოდინში, ამ დროს კი, შიდა ქართლში რბევა, ნგრევა, ხოცვა არ წყდებოდა და არავის აზრად არ მოსვლია — იქნებ იქ დავდგეთ, სადაც მართლა ომი მიდისო, არ ვიცი, ეგებ, მე მეშლება, მაგრამ არსებობს რაღაცეები, რაც არ მესმის და, ალბათ, ვერასოდეს გავიგებ.

ჩვენ რომ ძლიერი, მშვიდობიანი, ფეხზე დამდგარი, თავისუფალი ქვეყანა გვქონდეს, ვისაც როგორ უნდა ისე მოიქცეს, უნდა ელცინს შეაკლას თავი და უნდა კულუმბეკოვის განთავისუფლებას. განკითხვა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ერთ წელიწადში რომ ნახევარი ქვეყანა დაგვენგრა და შიდა ქართლში არც ერთი წუთით არ შენელებულა დაძაბულობა, ხოლო ქართველთა ერთი ნაწილი უკეთეს საქმეს ვერ პოულობს, ვიდრე საკუთარი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაა, მე მიულებელ ქმედებად მეჩვენება.

წინა ნომერში ჩვენ ვწერდით, კიტოვანისგან წამოსული გვარდიის ნაწილი (თეთრი არწივი), თეთრ გიორგისთან და ქუთაისის ბატალიონთან ერთად სამაჩაბლოს ჩავიდა ქართული სოფლების დასაცავად. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დიდად სასიხარულოდ მოგვეჩვენა ეს ფაქტი, მართლაც სასიხარულოა, რომ საქართველო ცდილობს თავისი ღირსების და მხედრული პატივის აღდგენას, მაგრამ... ჩვენი უზნეობა, თუ შეცდომები უკვალოდ არ ქრება, მეტად გვიმძიმებს გზას გამარჯვებისაკენ.

სამხედროებთან მოლაპარაკების დროს, რუსმა ოფიცრებმა პირდაპირ განუცხადეს ქართველ გვარდიელებს — ჩვენ არ ვცნობთ საქართველოს ხელისუფლებას იმიტომ, რომ თვითონ თქვენ, ქართველები, აყენებთ საკითხს მისი არაკანონიერების შესახებ. თუ შესაძლებელია, რომ თქვენი ოპოზიცია არ უწევდეს ანგარიშს საკუთარ ხელისუფლებას, რატომ უნდა მოგვეთხოვოს ჩვენ მისი საკანონმდებლო აქტების უსიტყვო მორჩილებაო...

რა პასუხს ითხოვს ეს განცხადება? — მწარე ღიმილს. ლოგიკა რუსი ოფიცრების სიტყვებში არსებობს. ჩვენ თუ მთელ მსოფლიოს მოვდეთ, ჩვენი ხელისუფლება დიქტატორულ რეჟიმს ამყარებს და უსამართლობას ამკვიდრებს საქართველოს ტერიტორიაზეო, რატომღა უნდა გაგვიკვირდეს, რომ მტერმა მოშგებიანად ისარგებლოს ჩვენი ამ საქციელით? ჩვენ ხომ მხოლოდ მოყვრის გასაგონად არ გავიძახით ათას დაუსაბუთებელ ბრალდებას ჩვენი ხელისუფლების მიმართ?

განუწყვეტლივ რომ ვითხოვთ დროებითი, კოალიციური, პარიტეტული და ასე შემდეგ მთავრობების შექმნას, ეს ხომ ნიშნავს, რომ უკანონოდ ვაცხადებთ მინისტრთა იმ კაბინეტს, რომელიც დღეს არსებობს. რის საფუძველზე ვაკეთებთ ამას? მხოლოდ პირადი უნდობლობის ან პირადი „უწყინარი სურვილის“ საფუძველზე, მოვიპოვოთ ერთი-ორი მინისტრის პორტფელი. ეპატიება ვინმეს, მინისტრის პორტფელის მოსაპოვებლად, საქართველოს მთლიანობის ხელყოფა?

ის გვარდიელები, რომლებიც დღეს სამაჩაბლოს ქართულ სოფლებს იცავენ ოსი და რუსი ექსტრემისტებისაგან, ყველაზე ცხადად, ყველაზე მწარედ და მტკივნეულად განიცდიან ჩვენი ოპოზიციის პოლიტიკური მოღვაწეობის უმძიმეს შედეგებს. ისინი საკუთარი სიცოცხლით აგებენ პასუხს სხვისი შეცდომების ან ამბიციების გამო.

ადამიანის უფლებათა დაცვის მოტრფიალეებს კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა ის, რომ ჰქონდეს სამშობლო, უყვარდეს და იცავდეს მას. მინისტრის პორტფელის გულისთვის ნუ დაგვაკარგვინებთ სამშობლოს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლის ფასად მოიტანეს ჩვენამდე. მერწმუნეთ, არ არსებობს ქვეყნად პორტფელი, რომლის მოპოვება ამ ფასად ღირდეს.

**თამარ ეზრალიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვისი მაზიარებელი დარჩა უზიარებელი

**ბრალდებები,** ბრალდებები, ბრალდებები... არც თავი უჩანს ბრალდებათა ნიაღვარს და არც ბოლო. საქართველო დიდ სასამართლო დარბაზს დაემგვანა. ბრალდებული — ყოველთვის ერთი და იგივე პიროვნებაა, პასუხისმგებლობაც — ყველა დროს მას ეკისრება. მიხვდებით, ალბათ, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტზეა საუბარი. უკვე რამდენი წელია ბატონი ზვიად გამსახურდია თავს იმართლებს — ეს ასე არ იყო, ეს, მე არ მითქვამს, ეს მე არ დამიწერია და ა. შ. როდემდის? საქართველოში, პოლიტიკის საკითხებში, ყველა ექსპერტია, ყველა ღრმად არის განსწავლული ეკონომიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, მხოლოდ ერთი პიროვნების კომპეტენტურობა იწვევს ეჭვს, მას ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება მისცეს შენიშვნა, მიუთითოს, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, თუ რომელიმე ჩვენთაგანს რაიმე შევუსწორეთ, მისი ხინჯი ვამხილეთ, ეს ხომ შეურაცხყოფაა, ეს ხომ თავისუფლების ხელყოფაა, როგორ შეიძლება, სირცხვილია... იმ დიდ სასამართლო დარბაზში, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება, პროკურორი არაფერს თაკილობს, არც ცილისწამებას, არც ფაქტების გაუკუღმართებას, არც სიცრუეს. მიზანია — ზვიად გამსახურდია მოვიმწყვდიოთ ჩიხში და რა საშუალებით მივაღწევთ ამას, ეს უკვე მეორეხარისხოვანი საკითხია. და გადის ასე თვეები თავის მართლებაში, სამარცხვინო ქილიკში, უმადურობაში. როდემდის?

პრეტენზიები და ბრალდებები, ოპოზიციის მიერ წამოყენებული, მრავალგვარია, ჩვენ ძირითად დებულებებს გამოვყოფთ და შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, ვუპასუხოთ მათ.

**1. „საქართველოს პრეზიდენტი აპატიმრებს „ოპოზიციას"... (გაზ. „დრონი", 22 ნოემბერი, 1991 წ. „იმპერიის შეხამლო სცენარი"), „რეპრესიები გრძელდება, დააპატიმრეს!" (ასეთი სათაურით იბეჭდება წერილი გაზ. „საქართველო", 19 ნოემბერი, 1991 წ.), „პრესისთვის მოიცალეს" (გაზ. „7 დღე" № 1, 1991 წ.).**

ძვირფასო ბატონებო, საქართველოში რეპრესიებია განა დღეს? ალბათ, არაა საჭირო ისტერიული კივილი, თითქოს ვინმე ქართველებს ექსორიას უპირებდეს. ნუ მივაწერთ ქართველ კაცს იმას, რაც არასოდეს არ ყოფილა მის ბუნებაში.

**2. „22 სექტემბერს პრეზიდენტმა გონებადაბინდული ხალხის მასა მიუსია მჯდომარე გაფიცულებს რუსთაველის პროსპექტზე..." (გაზ. „დრონი" № 45 „რახაც გამოცდილება გვიკარნახებს"). „იმ ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას, რომლებიც ასე მხურვალედ იცავენ დღეს პრეზიდენტს, ისინი შეადგენენ, რომლებიც ნებისმიერ ხელისუფლებას უჭერენ მხარს მერკანტილური მოსაზრებების გამო..." (გაზ. „საქართველო" № 25, „რატომ გვემუქრება პრეზიდენტი?").**

უკანასკნელ პერიოდში, ინტელიგენციის ზოგიერთ წრესა და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ მიმდინარეობაში, აშკარად გამოიხატა ქართველი ხალხისადმი ზემოდან ცქერის პოზიცია, რას ნიშნავს, ბატონებო, ეს „მასა", ეს „უმრავლესობა", რომლის წინაშე ასე გიჭირთ თქვენი ძვირფასი, განსხვავებული აზრის გამოთქმა? ვინ ხართ თქვენ, ხალხისგან გამორჩეული, რომ ყველა ცდება და მარტო თქვენ იცით „რაი არს ჭეშმარიტება?" არავის, ვინც არ უნდა იყოს იგი და როგორი დამსახურებაც არ უნდა მიუძღოდეს მას ერის წინაშე, არა აქვს მორალური უფლება, ეროვნული თავისუფლების იდეით აღტკინებულ ხალხს ბრბო უწოდოს, აქ თავად იდეის კეთილშობილებაა იმის გარანტია, რომ ხალხის მოქმედება ბრბოთა მოქმედებას არ გაუტოლდება. თუ თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ მიტინგზე მდგომი ადამიანების უმრავლესობა არის ის, ვისაც ჭეშმარიტებას ვერ გააგებინებ, მაშინ, თუ ლოგიკურნი ვიქნებით, ბრბოს ხუშტურებს შეეწირვიან 9 აპრილის გმირები და მართალნი ყოფილან სამხედროები, რომლებიც ამას ყრილობაზე საჯაროდ გვიმტკიცებდნენ. ბრბოს ალვირახსნილობა ყოფილა მხოლოდ, სამეგრელოდან 100 ათასიანი სახალხო ლაშქრის დაძვრა აფხაზეთისკენ თანამოძმეთა დასახმარებლად, უაზრო ყოფილა მათი დედების მიერ გზის გასწვრივ, ღობეებზე იმედად დანთებული სანთლები.

თუ თქვენს ლოგიკას ბოლომდე გავყვებით, უაზრო გამოდის ყოველგვარი ეროვნული მოძრაობაც, რადგან იგი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა მას ხალხი უჭერს მხარს. და რომელიც ხალხის ინტერესებს გამოხატავს, მნიშვნელოვანი კი, მხოლოდ იმ პოლიტიკური პარტიის ინტერესი ყოფილა, რომელიც დღეს იბრძვის მომავალ საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისთვის, რისთვისაც უკვე დღესვე აგროვებს საიმედო ხალხს. გათვლა სავსებით ზუსტია, რადგან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დღეს ხალხის განწყობას გამოხატავენ, ხვალინდელი საქართველოსთვის ბრძოლაში აუცილებელ დანაკარგებს განიცდიან.

**3. „კარგა ხანია მიტინგებზე, ტელევიზორის ეკრანებზე, რადიოში თუ პრესის ფურცლებზე მიმდინარეობს ინტელიგენციის ერთი ნაწილის და მათ შორის ჩემი ალვირახსნილი ლანძღვა-გინება... მოვლენები ისე ვითარდება, რომ შეიქმნას აზრი ჩვენი „დანაშაულებრივი ქმედების გამო..." (გაზ „დრონი" № 45.).**

თუ ხალხი ალალად, გულის ლოგიკით (რომელიც, თუკი პასკალს დავუჯერებთ, ბევრად უფრო უტყუარია გონების ლოგიკაზე) მიჰყვება ერთხელ აღიარებულ წინამძღოლს, ამ დროს ინტელიგენციის ნაწილში დიდი მოუსვენრობა სუფევს, ვერა და ვერ ინელებს მის ლიდერობას. მესმის, რომ არავინ არაა შეცდომებისაგან დაზღვეული, მაგრამ ღმერთივით უცოდველობას რატომ ვთხოვთ ჩვენს ცოდვილ მიწაზე ჩვენსავით გაჩენილ ადამიანს. ამის მიზეზი მრავალია: მისით უკმაყოფილო ინტელიგენციის ერთი ნაწილი „გაყიდული ხალხია". თქვენვე აღიარებთ, რომ ასეთები ბევრი გვყავს. მათ უკვე დაკარგეს ძველი ხელისუფლების იმედი, მაგრამ ახალთან ადვილად მისასვლელი პირიც არა აქვთ. თავიანთი მყუდრო ცხოვრების დარღვევაში მთავარ დამნაშავედ ისინი ბატონ ზვიადს მიიჩნევენ, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ **ისინი მასში ხედავენ თავიანთ უაზროდ და უმიზნოდ გატარებული ცხოვრების მამხილებელს.** ამას კი ადამიანები არავის და არასოდეს პატიობენ. ბუნებრივია, სურვილი გიჩნდება, რომ ხალხს უთხრა: ხალხო, რას სჩადით, ვის აღმერთებთ, ის ხომ ისეთია, როგორც ჩვენ. აი, ნახეთ, როგორ შეიძლება გავაკრიტიკოთ, შეცდომები აღმოვუჩინოთ, არადემოკრატიულობაში ვამხილოთ. თუ ხალხი არ დაგვიჯერებს და მის სიყვარულს არ მოიშლის, მაშინ ხალხზე გავბრაზდებით, ვუწოდებთ მას ბრბოს და ხალხად ქცევას მოვუნდომებთ. ნელ-ნელა მართლაც მივაღწევთ მიზანს, მართლაც მოვურყევთ დიდების კვარცხლბეკს, თან თავსაც დავირწმუნებთ, რომ ეს მომავალი საქართველოს ბედნიერებისათვის ჩავიდინეთ. სწორედ ამიტომ, ჩვენს ინტელიგენციაში უკვე შესამჩნევია ნელ-ნელა სვლა ეროვნულ მოძრაობაში მისდამი დაპირისპირებული აზრისაკენ.

**4. „პოლიტიკურმა წინდაუხედაობამ, ქვეყნის არადემოკრატიულად მართვამ დასცა საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი" (გაზ. „საქართველო" № 25/52) — „ჯერ დემოკრატია და შემდეგ თავისუფლება".**

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ პიროვნების თავისუფლება არის ყველაზე მაღალი ღირებულება ამ ქვეყნად, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ გზა პიროვნების თავისუფლებისაკენ, ერის თავისუფლებაზე გადის და არა პირიქით, ამიტომ აქვს გამართლება პიროვნების მიერ ერისათვის თავის შეწირვას, რითაც ხორციელდება პერსონის თავისუფლება ამ თავისუფლების პირობის დასაცავად. ლიდერზე მოთხოვნილება ჩვენი დალხინებული ცხოვრებით არ არის გამოწვეული, მის საჭიროებას ქმნის ის ექსტრემალური ვითარება, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას. ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ დღევანდელი ჩვენი დემოკრატია ყინვით დამზრალი და თბილ ფუნაში ჩავარდნილი ჩიტის ჰიკჰიკსა ჰგავს. თავისუფალ საქართველოში თავისთავად მოიხსნება ლიდერის საჭიროებაც და ჭეშმარიტი დემოკრატიაც დამყარდება. მანამდე კი, არ არის საჭირო ზვიად გამსახურდიასადმი პირადი შეუთავსებლობა დემოკრატიისთვის ბრძოლად მოვნათლოთ.

**5. „ერთი პიროვნება, თუნდაც იგი ზეადამიანი იყოს, ვერ შეძლებს ერის აღმშენებლობითი პროცესის გაძღოლას, რომელიც კოლექტიურ შემოქმედებას მოითხოვს" (გაზ. „საქართველო" № 25/52, „რატომ გვემუქრება პრეზიდენტი?").**

ჩვენს წინაშე დღეს საკითხი ასე დგას: ან-ან, ან გავთავისუფლდებით, ან დავიღუპებით. მესამის დრო აღარ არის. საქართველო დღეს ალყაშემორტყმულ ციხეს ჰგავს. ალყაშემორტყმულ ციხეს კი, ერთი აზრი და ერთი სარდალი უნდა ჰყავდეს.

●

დაბოლოს, ერთი რამ გვინდა გაგიმხილოთ, ძვირფასო მკითხველო, პასუხები ოპოზიციის ბრალდებებსა და პრეტენზიებზე ჩვენ არ გვეკუთვნის, ბატონ თემურ ფიფიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გაზეთ „საქართველოში" დასტამბული მისი წერილი — „მართლაც სად არის ქართული მწერლობა" ანუ ღია წერილი ვახტანგ ხარჩილავას" — ყველა ამჟამინდელ საჭირბოროტო საკითხს ეხმაურება. ბატონი ვახტანგ ხარჩილავა კი დააყენა ჭეშმარიტების გზაზე, მაგრამ თავად ნეტა რა დაემართა ბატონ თემურს, რომ ყველა იმ დებულებას უარყოფს, რომელთაც ასე დამაჯერებლად შეაგონებდა ბატონ ვახტანგ ხარჩილავას? როდის ცდებოდა ბატონი თემური და მრავალნი მისთანანი, ერთი წლის წინ თუ დღეს? ვით გაარკვიოს ქართველმა საზოგადოებამ სად არის სიმართლე? ამიერიდან შევეცდებით, რომ ოპოზიციის ყველა შემოტევას მათივე ნააზრევით ვუპასუხოთ. ყოველ შემთხვევაში, უსამართლობასა და მიკერძოებას ვერ დაგვწამებენ. ერთი კია, „დღეს ერთი უნდეს ხვალე სხვა" ვერაფერი სიმპათიური პოზიციაა.

P.S. ბატონი თემურ ფიფია, ალბათ, ერთი რუსული ანდაზის ერთგულია, «одна голова хорошо, но две лучше". ოღონდ აქ ერთ სხეულზე გამობმული ორი თავი არ იგულისხმება.

**თამარ ბულბანი**

---

# საქართველო ცენტრალური ევროპის ქვეყნების კონფერენციაზე

**ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია მხატვარი ცირა კალანდაძე. უნგრეთში ჩატარდა ცენტრალური ევროპის ქვეყნების კონფერენცია რომელზეც ქალბატონი ცირაც იმყოფებოდა, ჩვენმა კორესპონდენტმა დემურ ცეცაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა მას**



**— რამ გამოიწვია საქართველოს დელეგაციის მიწვევა ცენტრალური ევროპის ქვეყნების შეკრებაზე უნგრეთში?**

— ჩვენ მიგვიწვია ლასლო ნემეცის სახელობის სახალხო აკადემიამ, კერძოდ, მისმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა ჯუდით რონაიმ, რომელიც იყო ამ შეხვედრის ორგანიზატორი. შეხვედრა ეძღვნებოდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს მათ პრობლემებსა და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს. აგრეთვე, საერთო კულტურულ ძირებსა და ურთიერთკავშირებს.

უშუალოდ ჩვენი მიწვევა, როგორც თვითონ ქალბატონმა რონაიმ განაცხადა, მოხდა კულტურის მინისტრის პირადი ინიციატივით, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია ჩვენი ურთიერთობების გაღრმავებით. ხოლო ეს ინტერესი კი, ბატონ აკაკი ასათიანის ვიზიტის შედეგია.

ამ შეხვედრაზე იყვნენ იუგოსლავიის, ჩეხეთ-სლოვაკეთის, რუმინეთის, ავსტრიის, დანიის, შვეციის წარმომადგენლები.

საქართველოდან ვიყავით ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნე მზია ჩიხრაძე, კულტურის მინისტრის თანაშემწე ზურაბ სონღულაშვილი და მე.

**— რა პრობლემებზე იყო საუბარი?**

— აქ უნდა განვმარტოთ თვით ტერმინი — სახალხო აკადემია და მისი არსი. ამ ტიპის უმაღლესები პირველად სკანდინავიის ქვეყნებში შეიქმნა. ეს არის კერძო ინიციატივით შექმნილი ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანია უბრალო ხალხის, იმ ხალხის, ჩვენთან „დემოკრატიისათვის მებრძოლი" ე. წ. ოპოზიცია ბრბოს რომ უწოდებს, რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმას ქვეყნის სულიერ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ორგანიზაცია ცდილობს ძველი, თითქმის განადგურებული ტრადიციების აღდგენა-აღორძინებას, ერის კულტურული სიმდიდრის შენარჩუნებას, ასევე მუშაობს იმაზე, რომ გარკვეული ბარიერი შეიქმნას, რომელიც პატარა ქვეყნებსა და მათ თითოეულ მოქალაქეს დაიცავს, როგორც თანამედროვე ტექნიკური პროგრესით ნაკარნახევი ვიწრო სპეციალიზაციისაგან, ასევე ტოტალიტარული რეჟიმით გამოწვეული კულტურული ნიველირებისაგან, რადგან ეკონომიკური სარგებლიანობით, განსაზღვრულ საზოგადოებაში, მეცნიერებას უპირატესად მატერიალური ინტერესები ამოძრავებს. მხოლოდ ვაჭრობა და კომერცია, თავისი ეგოისტური ბუნებით, მსოფლიო გლობალური პრობლემების გადასაჭრელად არ გამოდგება. და აქ უნიკალური ადგილი სწორედ ერის სულიერ კულტურასა და ერის სულიერ სიმდიდრეს უკავია.

**— რა ითქვა შეკრებაზე საქართველოს შესახებ?**

— პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესი სითბო და კეთილგანწყობა იყო ჩვენს მიმართ. მთელი ეს შეხვედრა ხომ სწორედ ზერელე, ზედაპირული მსჯელობების წინააღმდეგ იყო მიმართული. მათ აინტერესებდათ საქართველოს წარსული და აწმყო, ჩვენი ისტორიული და კულტურული თავისებურებანი, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. იქ, საუბრებში ბევრჯერ გაესვა ხაზი იმას, რომ ერთნაირი პოლიტიკური სისტემის გადმონაშთებთან გვაქვს საქმე და დაახლოებით ერთი და იგივე პრობლემების წინაშე ვდგავართ; და რომ იუგოსლავიის ტრაგედიაში, კომუნისტური რეჟიმის გარდა, დასავლეთ ევროპის გარკვეული ინდიფერენტულობა არის დამნაშავე. ჩვენც, ჩვენის მხრივ, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირის მთლიანობის გადარჩენის ცდას, მხოლოდ უარესი სისხლისღვრისკენ მივყავართ და რომ კომუნისტურმა გაუკუღმართებულმა საზოგადოებამ დღეს ადამიანის უფლებები და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის იდეაც ტოტალიტარული რეჟიმის, ანტიჰუმანური, ანტიქართული, ყველა ეროვნების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ფარად აქცია.

უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო ფაქტიც, დღეს უნგრეთის მთავრობასაც ჰყავს „ოპოზიცია", რომელიც წლების განმავლობაში, კომუნისტური ბატონობის დროს, საკმაოდ პრივილეგირებულად ცხოვრობდა. ახლა კი, უეცრად გამოფხიზლდა და ხმა აიმაღლა „დიქტატურისა" და „სიტყვის თავისუფლების" ვითომცდა შეზღუდვის წინააღმდეგ ხოლო ჩვენი პარტიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს ასეთივე შემართებით რომ ებრძოლათ თავიანთი ხალხის ინტერესებისათვის, როგორც დღეს თავიანთი პრივილეგიების გადასარჩენად იბრძვიან, 1956 წელს საქართველოში დატრიალებული ტრაგედია მსოფლიოსათვის უცნობი არ დარჩებოდა.

დაბოლოს, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოს შესახებ ძალზე ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ. თუმცა კი, ჩვენს პრობლემებში გარკვევის სურვილსა და დიდ ინტერესს იჩენდნენ.

საართოდ, არა მგონია არსებობდეს პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ან ახსნა არ შეიძლებოდეს, თუ სათანადო კეთილგანწყობა იქნება.

---

შეურიგებელი ოპოზიცია

# შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის

**ფაქტი:**

29 ნოემბერს (პარასკევს) უნივერსიტეტის წინ გამართულ მიტინგზე ოპოზიცია მსმენელებს მოუწოდებდა: მთელი საქართველო ფეხზე უნდა დავაყენოთ, გამოვიყვანოთ სტუდენტობა, დავიაროთ დაწესებულებები— ხელისუფლება სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებას აპირებს, ერთ მუშტად უნდა შევიკრათ ამის წინააღმდეგო.

**კომენტარის მაგიერ**

**კორ. — არსებობს საქართველოსთვის შესაძლებლობა ეკონომიკური შეთანხმების გაფორმებისა სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე?**

**თენგიზ სიგუა** — დღეისათვის არჩევანი არ არსებობს. ზამთარი ცხვირზე მოგვადგა. რესპუბლიკა პრაქტიკულად მოუმზადებელი დახვდა ამას. დღეს იმპორტის 25 პროცენტს საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან ვიღებთ. გაზი, ნავთობი, ელექტროენერგია, ყველა სასიცოცხლო და აუცილებელი პროდუქტი გარედან შემოგვაქვს. **ხელშეკრულების არ მოწერა სიგიჟეა.**

**კორ. — როგორ განვითარდება საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან?**

**თენგიზ სიგუა** — სამწუხაროდ ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა რუსეთთან გაიფუჭოს ურთიერთობა — უამრავი მოუფიქრებელი განცხადებები, კონტაქტები რუსეთის ავტონომიებთან... ამის დაშვება არ შეიძლება. რუსეთთან ჩვენ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა გვაკავშირებს.

**„კომსომოლსკაია პრავდა" 26 ნოემბერი, № 272.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთ „დედამიწის" ხვანცარიკობა და საინფორმაციო ომი

აკაკი წერეთელი თავის წერილში „ისევ ქალების აღზრდის გამო (პასუხად ნინია გარეჯელს)", ერთ ძალზე საინტერესო სიტყვას ასე განმარტავს:

„ქართული ხვანჭარიკი, ანუ ხვნცარიკი ჰქვიან ისეთგვარ ორ-ტოტ მახეს, რომელიც ერთი თავითაც იჭერს და მეორეთიც, აქეთაც გააბამს და იქითაც. — აქედან წარმოდგება სიტყვაც „ხვანცარიკობა". „როცა ვინმე ცდილობს, რომ აქეთაც დაიჭიროს საქმე და იქითაც, იმაზე იტყვიან, ხვანცარიკობსო". — დასძენს აკაკი.

აი, ამგვარი ხვანცარიკობა წარმომიდგა თვალწინ, როდესაც გაზეთ „დედამიწაში" (30. XI. 91.) წავიკითხე ყოფილი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას ინტერვიუ სათაურით, „**მთავარია მოვიგოთ საინფორმაციო ომი**". როგორც ხედავთ, წერილის სათაურშივეა გამოტანილი ინტერვიუს დედააზრი.

საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ თვით ის გვერდი, რომელიც პოლიტიკის ეგიდით არის წარმოდგენილი, დიდი ხვანცარიკობითაა შედგენილი. — „ხელისუფლებას მოუწევს „სწორი იდეების გატარება" — გვემუქრება რომან გოცირიძე. „ჩემთვის მისაღებია დემოკრატიული საქართველო" — ნაზად და ლირიულად, ჭაბუკური მელანქოლიით გვაუწყებს თენგიზ კიტოვანი, ხოლო თენგიზ სიგუა, ქართველთა გადემოკრატების აღიარებული დიდოსტატი, თავის ლოზუნგს — „საინფორმაციო ომი უნდა მოვიგოთ"... — შიგ გულში გვესვრის.

ახლა, ჩემო მკითხველო, მივყვეთ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ხვანცარიკობას, ერთი ხელით ზეთისხილის რტოს რომ აფრიალებს, მეორეთი კი, მისი ძვირფასი გვამის დამცველთა ბეტეერებს და ავტომატებს რომ ეჭიდება და გავიგოთ, როგორ აპირებს საინფორმაციო ომის მოგებას.

— როდემდე გაგრძელდება თქვენი ყოფნა თავშესაფარში? — ეკითხება კორესპონდენტი თენგიზ სიგუას.

— „ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვახერხებთ საინფორმაციო ომის მოგებას". — ბრძნულად პასუხობს ჩამოპრემიერმინისტრებული თენგიზ ბატონი. — „ჩვენ განვაცხადეთ და ახლაც ვამბობთ, რომ ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მხოლოდ კონსტიტუციური, საპარლამენტო მეთოდებით. ახლა მთავარია, მართალი ინფორმაციის მიწოდება ხალხისთვის, რომ მას თვალი აეხილოს"...

შევჩერდეთ ცოტა ხანს ჩემო თვალდახუჭულო, თენგიზ სიგუას მოღვაწეობით და შემოქმედებით გულაჩუყებულო მკითხველო და მივყვეთ მის „ორ-ტოტა", „ღრმააზროვან", ანუ ორაზროვან პასუხებს.

დავიწყოთ თავშესაფრიდან: ძალზე სიმბოლურია, რომ ჩამოპრემიერმინისტრებულმა და ხელისუფლებას განდგომილმა კაცმა „სამამულო ომის" მონაწილეთა, ვეტერანთა და პენსიონერთა პანსიონატი აირჩია თავშესაფრად. რაღა ეს პანსიონატი და რაღა სადამ-ჰუსეინის ბუნკერი. ზის „ვადახრანილიშჩეს" მიდამოებში, პანსიონატ-ბუნკერში ეს ჩვენი დარბაისელი, ჰარმაგი ნაპრემიერალი და ხან საინფორმაციო ომს გვიცხადებს იქიდან, ხან ავტომატებს გვიკაკანებს... აბა, რა ქნას „ლტოლვილმა", „დევნილმა", ჩამოქვეითებულმა კაცმა, სხვა საქმე არაფერი აქვს და ახლა „კონსტიტუციური მეთოდებით ბრძოლა" გამოიგონა. ოღონდ ჩვენთვის, „თვალდახუჭული" და „გონებადაბნელებული" ხალხისთვის იმის განმარტება დაავიწყდა, არის თუ არა კონსტიტუციური მეთოდი ტელევიზიის „შტაბ-კვარტირაში" შეიარაღებულ გვარდიელებთან ერთად შეჭრა, თოფების ბათქა-ბუთქი და ბეტეერებით თოხარიკი.

— „ახლა მთავარია მართალი ინფორმაციის მიწოდება ხალხისათვისო," — იხტიბარს არ იტეხს ეს ჩვენი ძველი ყაიდის ჩინოვნიკი.

ნახეთ ერთი! „ვიდრე საინფორმაციო ომს არ მოვიგებთო"!.. — ის ომი ხომ „მოიგო", რომელიც სავარძლის დაკარგვას მოაყოლა და ახლა საინფორმაციო ომით გვაშინებს.

— ჯერ ერთი, შენ რა ქართველი ხარ, თვითონ რომ ბუნკერში იმალები და ცოლ-შვილს „დიქტატორს" უტოვებ „საწამებლადაო". — ჰკითხავს ვინმე „თვალდახუჭული", — აი, აქედანვე გეტყობა ქაჩაჩებში, რომ ტყუი, დიქტატურისგან შეშინებული კაცი ოჯახსაც ბუნკერში გაიხიზნავდა. ამაზე ითქმის, ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო!..

დიახ, ჩემო მკითხველო, ამ ჩვენს სიგუას ამდენ სირბილსა და თავშესაფრის ძებნაში რაღაც-რაღაცები დავიწყებია და ახლა საინფორმაციო ომზე ამყარებს იმედს. რას იზამთ? ისე, მართლა ნიშნეულია აგრესორის და ომის გამჩაღებლის „კეთილშობილური მიზნები" და „კონსტიტუციური ბრძოლის მეთოდები"... თუ თვალს გადაავლებთ საინფორმაციო მწყობრით ჩალაგებულ მათ გაზეთებს, დარწმუნდებით, როგორ ტყვიებივით ცვივიან ფურცლებიდან შხამიანი სტრიქონები, როგორ წივიან ხელისუფლებისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ. აგერ, რამდენი ხანია, საინფორმაციო სამსახურში ჩადგა მძიმე წონიანთა, მძლეოსანთა, მოჭიდავეთა, მობურთალთა და სხვა მოასპარეზე-მორკინალთა მძიმე სიტყვიერების არსენალით შეიარაღებული ბატალიონები. ხვანცარიკების მიერ საქართველოში გაჩაღებული ომის ბათქა-ბუთქი ყურს ჭრის მთელ მსოფლიოს. საზღვარგარეთის ოთხივკუთხივ მიფრინავენ საინფორმაციო ჭურვები, ნაღმებივით სკდებიან „ქართველ ფაშისტებზე", „ნაცისტებზე", „დიქტატორზე" იარლიყმიკერებული სტატიები. ვინ არ არის ჩართული ამ „თვალის ამხელ", „მართალ", „კონსტიტუციური ბრძოლის" მეთოდებით აღჭურვილ ბრძოლაში: ქოსამატყუარა ბერბიჭები, მუცლით მეზღაპრენი, მისნები, ბიოველებით გულგადამწვარი ექსტრასენსები, ანეკდოტების პრემიის ლაურეატები, მოლა-ნასრედინის ქართველი მიმდევრები, ცირკის ჯამბაზების ცნობილი წარმომადგენლები, ცენტრალური კომიტეტის აპარატში დაწინაურებული, შემდეგ კონგრესის პრეზიდიუმში გადაწინაურებული ვირტუოზ-შემსრულებლები, გაქსუებული ლექსის მთხზველები, სახალხო მთქმელები, ზეპირსიტყვიერების ოსტატები, გუდა-სტვირზე მოშაირენი, ტელეორატორები, ქართული ჰოლივუდის სახელგანთქმული დონ-ჟუანები და მექალთანეები, დამსახურებული კარისკაცები, შინაბერები. გულის დამები, სხვადასხვა ჯურის მსტოვრები, მეანდაზეები, ახალგაზრდა „ბირჟავიკები", ლაზღანდარები და ხუმარები, კრიტიკოსები და კარიკატურისტები, ბარიკადებისტები „ნიანგის ცრემლის" პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებული ფელეტონისტები, სატირიალო-საინტრიგო ნაწარმოებთა შემოქმედი პოპულარული რაინდთუხუცესები და სხვა.

ერთი სიტყვით, თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით გაჩაღებულ საინფორმაციო ომში ჩაბმულ ბატალიონებს და კავალერიას ვერც კალამი აღწერს, ვერც საინფორმაციო ბრძოლაში მოპაექრე ცნობილ მოქანდაკეთა საჭრეთელი და ვერც მხატვართა გრძნეული ფუნჯი. ხვანცარიკობის ოსტატი უნდა იყო, რომ მთელი სიგრძე-სიგანით შეაფასო მისი აღჭურვილობა, მხედრიონი და მოსალოდნელი შედეგები.

ახლა, ჩემო სანახევროდ თვალახელილო მკითხველო, მივყვეთ ისევ სიგუას ინტერვიუს: — „ერთი თვე სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობამ მიიღოს სრული ინფორმაცია, შემდეგ იგი თავად განსაზღვრავს საკუთარ ბედს. თუმცა, საპარლამენტო ბრძოლის იმედი მე შედარებით ნაკლებად მაქვს. ბოლო ორმა სესიამ ნათლად დაგვანახვა, რომ პრეზიდენტი ჯერ კიდევ დიდი უმრავლესობით იმარჯვებს. მაგრამ ის დეპუტატები, რომლებიც თვალდახუჭული უჭერენ მას მხარს, დაფიქრდებიან იმაზე, რომ ხვალ და ზეგ მათაც მოეთხოვებათ პასუხი. იმედი მაქვს, მათი ნაწილი მაინც რეალურად მიუდგება პოლიტიკურ სიტუაციას და სწორ გზას აირჩევს"...

აი, ჩემო კარგებო, რა დიდი ბედნიერება ელის „თვალდახუჭულ" საქართველოს მოსახლეობას... განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის შედეგად „დაბრმავებულ", „დაყრუებულ", „დამუნჯებულ" და სხვა პოლიტიკური „დეფექტებით დაავადებულ" ადამიანებს ბატონი სიგუა ერთ თვეში პირდება განკურნებას და გაჯანსაღებას. ოღონდ ერთი პირობით: როდესაც გამოჯანსაღდებით და თვალახელილები ეროვნულ ხელისუფლებას დაერევით, ჩაქოლავთ, ჩააქვავებთ და მიწასთან გაასწორებთ, არ დაგავიწყდეთ თენგიზ სიგუას ღვაწლი. (არა, მართლა რამ დაგვიბრმავა თვალები. ეს კაცი ეროვნულ მოძრაობაში ზვიად გამსახურდიას სიყვარულით „დაავადებულთა" სამკურნალოდ ყოფილა მოგზავნილი, ჩვენ კი მთავრობის მეთაურობა ჩავაბარეთ. დიდება შენდა ღმერთო!) იცოდეთ, პრეზიდენტის გვირგვინიც მას უნდა დაადგათ თავს და ინფორმაციული ომის მთავარსარდლობაც მას უნდა ჩააბაროთ.

ახლა „თვალდახუჭულ, წყვდიადში მორიალე, სიბრმავის სინდრომით შეპყრობილ" პარლამენტის წევრთა უმრავლესობას მინდა ვურჩიო: რაც უფრო მალე შეითვისებთ სიგუას ჭკუისმსწავლებლურ დოქტრინებს და თეორიებს, მით მალე გამოხვალთ „წყვდიადიდან" და აღარ გერქმევათ „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა", „მონები", „ბნელები", „პროვინციალები", რაც უფრო დაუჯერებთ ნაპრემიერმინისტრალის შეგონებებს, მით მალე ჩაეწერებით რჩეულ ინტელიგენციაში და დემოკრატების აღიარებული ჯილდოთი — „მამაცი დემოკრატის" წოდებით დაჯილდოვდებით. ასე რომ, იჩქარეთ, საპარლამენტო უმრავლესობავ, თორემ ამ „ერთადერთი უჭკვიანესი კაცის შორსმჭვრეტელობას" თუ არ გაიზიარებთ, უფსკრულში გადაიჩეხებით, მერე იქ სიგუა ველარ დაგიდგებათ თავდებად, პოლიტიკურად ბეცებად მოინათლებით.

მაგრამ არა, ჯერ თვალის ახელამდე შორი გზაა, ძვირფასებო, ჯერ ერთი განსაცმელი კიდევ უნდა გაიაროთ. აბა, დააკვირდით ამ მუნათიან კითხვას, კორესპონდენტი რომ აძლევს „განსხვავებული აზრის" მქონე უმცირესობის მამამთავარს:

— „ბატონო თენგიზ, თქვენ ამგვარი იმედი გამოთქვით ჩვენი გაზეთის სექტემბრის ნომერშიც. მას შემდეგ ორმა თვემ განვლო და მყარად ჩამოყალიბდა „მრგვალი მაგიდის" პარლამენტური უმრავლესობა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ შეჩერდა „გონს მოსვლის" პროცესი?

ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, როგორი იმედგაცრუებული კაცის კილოთი ეკითხება ჟურნალისტი. — თქვენაო, — ემუნათება, — სექტემბერშიც აღგვითქვით, რომ პარლამენტს დაშლით, პრეზიდენტს გადააყენებდით, ეროვნულ ხელისუფლებას ყოფილი, ამჟამად გადემოკრატებული ხელისუფლებით შეცვლიდით, მაგრამ რა გამოვიდა? ორი თვე გადის, თქვენ კი პრეზიდენტის წინააღმდეგ დაპირებული იანაევის „საბრალდებო დასკვნაც" ვერ მოიპოვეთ, ახლა როგორ დაგიჯეროთ?.. — აი, მეგობრებო, დაახლოებით ასე ჟღერს მწვანეთა კორესპონდენტის შეკითხვა მამამთავრისადმი. ამიტომ ახლა ისიც ეეჭვება, ვაითუ, საპარლამენტო უმრავლესობის „გონს მოსვლის" პროცესი სიგუას ფანტაზიის ნაყოფია და ტყუილად გვაქვს იმედი მათი დაშლისაო. მაგრამ სიგუა რა სიგუა იქნება, პასუხს თუ ვერ მოძებნის და ვერ დააწყნარებს თავის მრევლს. ტყუილად კი არ ჩაჯდა პანსიონატ-ბუნკერ-კასრში ფილოსოფოსივით და სიმართლის ფარანი მოიმარჯვა.

— ვაი, სულოჯან, როგორ ვერ გამოიცანიო, — ნიშნისმოგებით ეუბნება. — იმ 110 დეპუტატს შორის, რომელიც ბრმად ემორჩილება პრეზიდენტს, საკმაოდ დიდი ნაწილი დღეს თუ ხვალ, დაუფიქრდება თავის საქციელს. ჩემი აზრით, პრეზიდენტს დაახლოებით 30 კაცი გაჰყვებაო, — ხელებს იფშვნეტს წინასწარი სიხარულით.

ჰო-ჰო-ჰო-?! რა იმედი ჰქონია? ანგარიშიც ამას ჰქვია. ისე, ამ დალოცვილს, მართლა თვალდახუჭული და დაბრმავებული ჰგონია მთელი საქართველო? ერთი სული აქვს როდის განკურნავს, ლიბრს გადააცლის ქუთესა მკურნალივით და ზვიად გამსახურდიას სიყვარულს სიძულვილით შეცვლის... თურმე, იმ იმედით ცოცხლობს, ზვიად გამსახურდიას ოცდაათამდე ერთგული კაცი დარჩება, დანარჩენი ჩემს მოძღვრებას დაეწაფება და გავკეთდები კაცი, მთელ საქართველოში პირველი სიძულვილით მკურნალი მერქმევაო. ალბათ, ისიც ეიმედება, განკურნებული ქართველები პრეზიდენტს გადმოისვრიან, მის ხელისუფლებას გააუქმებენ და ჩემს მორჩილებს, მხევლებს, პირისფარეშებს, მოახლეებს, მცველებს და მონებს, წარმოსვამენ სათავეშიო.

— სწორედ იმიტომ არ ავირჩიეთ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია, რომ შენ დაგაჩაგვრინოთო? — ეტყვის გაბრაზებით სიგუას ვინმე ქართველი კაცი, არაინტელიგენტად ჩათვლილი.—უყურე ერთი ამ ხალხის „ქომაგს?!" ეს რომ ხალხის ნებას პატივს სცემდეს, ერი უყვარდეს და მის სურვილს იზიარებდეს, ტელევიზიის „შტაბ-კვარტირაში" სამხედრო პუნქტს კი არ გახსნიდა, ანდა საინფორმაციო ომს კი არ გამოაცხადებდა და „ვრემია"-„ტესეენში" ჯაშუშის ფუნქციას კი არ დაიკისრებდაო?.. — კი, უთუოდ ეტყოდა სიგუას მწარე-მწარე სიტყვებს ქართველი კაცი, მაგრამ რა ქნას? ეს დიდმოძღვარი მხოლოდ ინტელიგენტის აზრს სცემს პატივს. მერე რა, რომ ზოგიერთი ინტელიგენტი ხანდახან ტყუილსაც გამოურევს ხოლმე, თუნდაც ისეთს, როგორსაც ეს „გამოუსწორებელი" ინტელიგენტი კადრულობს. — „პრეზიდენტმა, ეტყობა, შეიგნო, რომ საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისთვის სამხედრო ძალა არ ეყოფოდა და ამიტომ მეორე გზას დაადგა — დეპუტატების დაშინების გზასაო"... — ცრუობს.

გესმით, „დაშინებულო" უმრავლესობავ?! თურმე ზვიად გამსახურდიას ისე დაუშინებიხართ, თენგიზ სიგუასთვის სიყვარულის გამხელას ვერ ბედავთ.

ვაი, სალოდავო, ჩაგრულო, დაბრმავებულო, დამუნჯებულო და დაყრუებულო დეპუტატებო? მართლა დაშინებული ხართ, აბა, რა! ჩამოპრემიერ-ჩამომინისტრებულის დამქაშები, მისი მოძღვრებისგან აგზნებული და აღტაცებული საპარლამენტო ოპოზიციონერები რომ დაგჭყივლებენ და დაგკივლებენ ხოლმე, თქვენ რას შვრებით იმ დროს? ემანდ არადემოკრატიულობა და განსხვავებული აზრისადმი უპატივცემლობა არ დაგვწამონო, გაინაბებით, ლამის სკამებქვეშ შეძვრეთ, ზოგჯერ გაბედავთ, შეეპასუხებით, შეეკამათებით, მაგრამ ვაი, თქვენი ბრალი! რა ეპითეტებით არ შეიმკობით.

აბა, ერთი, სიგუას გამოწერილი რეცეპტებით იმოქმედეთ! ახლა თუ ზვიად გამსახურდიას „დაშინებულები" გქვიათ, მერე თენგიზ სიგუას თანამოაზრეები, დემოკრატები და კონსტიტუციური მეთოდებით მებრძოლი საზოგადოების წევრები გერქმევათ. მერე რა, თუ ეს დემოკრატები ხანდახან იარაღსაც აისხამენ, ცოტას შეგახურებენ კიდეც, ყურებსაც აგიწევენ, წაგითაქებენ, დაგტუქსავენ, მცირე დოზით, ტერორსაც არ მოერიდებიან, თქვენ იკითხეთ, თორემ, მათ მაინც განათლებულები ერქმევათ, მაინც დემოკრატები იქნებიან...

ჰოდა, ახლა ეს განმანათლებლები, „საინფორმაციო ომის მოსაგებად", რაიონებშიც გასულან. — „ოპოზიციონერთა ლიდერების ორგანიზებული გასვლა ხდება მთელ რიგ რაიონებშიო". — სამოქმედო გეგმასაც უმხელს კორესპონდენტს ორგანიზატორი. არც ეს არის გასაკვირი. ბოლშევიკების ცნობილი მეთოდი გახლავთ აგიტ-ბრიგადების ჩამოვლა აგიტ-მატარებლებით. საბჭოთა იდეოლოგიის გამტკიცება-შენარჩუნებას ემსახურებოდა ეს მეთოდი. დღესაც, ყოფილი კომუნისტების თავდადება და ხვანცარიკობაც ამაში გამოიხატება: სოფელ-სოფელ ჩამოვლა და ძველი იდეოლოგიის აღდგენა.

— „ოფიციოზმა განაცხადა, თითქოს ოპოზიცია დამარცხდა თბილისში და ახლა პროვინციაში ეძებს დასაყრდენსაო", — სწუხს ოპოზიციონერთა საინფორმაციო ომის გენერალი, — არ დაიჯეროთო, — „ბრმების" და „ყრუების" გასაგონად ყვირის: — ჩვენ რა დაგვამარცხებს, კრემლში მოკალათებული ამბროსოვიჩი ზურგს გვიმაგრებს, არხეინად იყავით, საქართველოს დამოუკიდებლობას „ოფიციოზი" ასე ადვილად ვერ ეღირსებაო.

დიახ, ჩემო კარგებო, თენგიზ სიგუა „ძაან კაცია", — „ჩვენ რამდენჯერმე ითქვა, რომ თქვენ „სი-ენ-ენ"-ისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადეთ, ოქტომბრის მეორე ნახევრიდან ეროვნული მოძრაობის ახალი ფაზა დაიწყებაო", — შეახსენებს კორესპონდენტი ეროვნული მოძრაობის ახალი ფაზის დამწყებ ლიდერს.

ერთი, ესეც ვიკითხოთ, რას ნიშნავს ახალი ფაზა? რას და, „ახალფაზიანებმა", ანუ ძველმა ნაკომუნისტარებმა და მათმა მხარდამჭერმა ხალხმა უნდა დაამარცხონ „ძველფაზიანები", ანუ კომუნისტების და მათი მხარდამჭერი ხალხის დამმარცხებლები:

— „ახლა სწორედ პროვინციაშია საჭირო ძირითადი მუშაობის გაშლაო," — ამიტომაც ბრძანებს სიგუა. ამიტომაც დადიან კარდაკარ ჩამოკომუნისტებული კერპები და ხალხში საბჭოურ განმანათლებლურ მუშაობას ეწევიან. აბა რა ქნან, ზვიად გამსახურდიას „დიქტატურამ" თვალები დაახუჭვინა საქართველოს მოსახლეობას და ნაკომუნისტარმა მქადაგებლებმა ხომ უნდა აუხილონ. ოღონდ, ვაითუ, მეტისმეტად მოუვიდეთ ინფორმაციული მალამოს მოსმა და ისე აეხილოთ თვალები, რომ უფრო ღრმად ჩაიხედონ ბოროტნი და ვერაგი ბუნებით გაჟღენთილ სულში? ვაითუ, მერე მათი ნამდვილი სახეც დაინახონ? ვაითუ ამ თვალახელილმა ხალხმა მერე პანჩურიც მიაყოლონ „ახალფაზიანებს", მერე ვის დაბრალდება ეს?

დიახ, ასეა საქმე, ჩემო მკითხველო! სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ რა ვქნა? ადვილია ხვანცარიკოსების ინტრიგების გახსნა? ერთ ხელში რომ სახარება უჭირავთ, მეორეთი ავტომატს ათამაშებენ. ცალი ყბით რომ ერთობას და დემოკრატიას ითხოვენ, მეორეთი შხამით ნალესი სიტყვას ამზადებენ, ერთი თვალით — ვითომ კეთილად გესალმებიან, მეორეთი — გწყევლიან. ვითომ ერის დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან და ამ დროს, ჩრდილოეთისკენ აქვთ ხელი გაწვდილი.

თენგიზ სიგუამ როდის დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომ ახლა ახალ ფაზაში გამოაცხადა ქართველი ერი. უფრო მეტიც, სიგუასთანა ჩრჩილის პერანგში შემძვრალმა ხვანცარიკებმა შეიტანეს განხეთქილება ამ მოძრაობაში. ახლა ეს ჩრჩილები ხან ეკონომიკური, ხან პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების მომიზეზებით ეკურკურებიან ხალხს და ცდილობენ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ სიძულვილით აღავსონ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მწვანეთა გაზეთში, საინფორმაციო ომის მოსაგებად გამიზნულ, სხვა ძვირფას მარგალიტებსაც ამოიკითხავს კაცი. იმის მაგიერ, რომ საზღვარგარეთს გააგებინონ როგორი სიჯიუტით იბრძვის პატარა საქართველო იმპერიის მარწუხებიდან თავის დასაღწევად, იმის მაგიერ, რომ სამაჩაბლოს სავალალო მდგომარეობა გააცნონ, იმის მაგიერ, რომ პროტესტი გამოხატონ, ამათ საკუთარ სახლში გამოაცხადეს ინფორმაციული ომი.

რა უნდა ველაპარაკოთ ამ ცრუინფორმატორებსა და ცრუმოკალმეებს, საკუთარ ერზე წერა საქილიკოდ რომ გაიხადეს.

აკაკი წერეთლის სიტყვებით დავიწყე და მისივე სტრიქონებით უნდა დავამთავრო: — „აღდგომის დროს, დაწოლის დროს, წასვლის დროს, ჭამა-სმის დროს და ყოველგვარი მოქმედების წინეთ, სხვადასხვა, მათი შესაფერისი ლოცვები დაგვიტოვეს, მხოლოდ წერის დროს სათქმელი ლოცვა არ დაუტოვებიათ და ეს იმიტომ, რომ თვით წერა იმავე ლოცვათ მიაჩნდათ და ფიქრობდნენ, ლოცვის წინ რაღა ლოცვა შეიძლებაო."... (ბ-ნ ნინია გარეჯელის საპასუხოდ)...

ნეტავ ჩვენს გადემოკრატებულ ინფორმაციული ომის გამჩაღებლებს თუ ახსოვთ ეს შეგონება?

ირინე ჭალიაშვილი

**გაზეთ** „თავისუფალი საქართველოს“ მკითხველმა იცის, რომ 1985 წლის აპრილში, ჭიათურის სოფ. სკინდორის არასრული საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლის გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით, დანაშაულში ბრალი დაედო ამავე სკოლის ყოფილ მასწავლებელს მერსი გიორგის ძე ჩუბინიძეს, რომელსაც სასჯელის ზომად შეეფარდა 13 წლით პატიმრობა, 2 წლით გადასახლება და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით პედაგოგიური მუშაობის აკრძალვა.

მიუხედავად მრავალრიცხოვანი და ხანგრძლივი საჩივრებისა, მერსი ჩუბინიძემ თითქმის 3 წელი გაატარა პატიმრობაში, მხოლოდ 1988 წელს შეწყდა საქმე მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო (გაზ. „თავისუფალი საქართველო“ № 29).

მ. ჩუბინიძე გაამართლეს და დამნაშავეც „დამსახურებისამებრ“ დაისაჯა. ქ. ჭიათურაში (სამწუხაროდ, არა მარტო იქ) ბევრი ასე ფიქრობს — იჩივლეს და მიაღწიეს განთავისუფლებას, მეტი რა უნდათ? ზოგიერთი მ. ჩუბინიძეს მაინც ეჭვის თვალით უყურებს. მათ მეხსიერებაში დღესაც ცოცხლად ჟღერს 1986 წელს საქართველოს ტელევიზიით გადაცემული სიტყვები: „მ. ჩუბინიძის ახლობლები საჩივრით მიმართავენ სხვადასხვა ინსტანციებს მ. ჩუბინიძის უკანონოდ მსჯავრდების გამო, ტელემაყურებლებს ვაცნობებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე განაჩენი კანონიერია და უცვლელად არის დატოვებული“.

ჩვენი ღრმა რწმენით, დანაშაულის სწრაფად ზრდის, ადამიანების მიერ კანონისადმი უნდობლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, სამართალდამცავ თუ სხვა სახელმწიფო ორგანოებში მოკალათებული უნიათო თანამდებობის პირები არიან. ასეთნი, დაავადებულან რა დაუსჯელობის სინდრომით, არად აგდებენ ადამიანთა ბედს. ჩვენ კვლავ გვაწუხებს კითხვა: მ. ჩუბინიძის განაჩენის ავტორი ლ. საყვარელიძე და მსგავსნი მისნი, შეიძლება დღეს რჩებოდნენ მაღალი თანამდებობის პირებად?

ხომ არ განაპირობებს შექმნილი სიტუაცია, ადამიანებმა იმოქმედონ ისე, თითქოს კანონი არ არსებობდეს. დიდი მეცნიერი და მოაზროვნე ბლეზ პასკალი ხატოვნად შენიშნავდა: „როდესაც ადამიანებმა ვერ ჰპოვეს სამართალი, მაშინ ირწმუნეს, რომ ძალაა სამართლიანობა“.

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ (9 აგვისტოს, № 29) პუბლიკაციის (ოღონდ იზეიმოს მართლმსაჯულებამ) საპასუხოდ, იმავე გაზეთის 30 აგვისტოს № 32-ში დაიბეჭდა ჭიათურის განათლების განყოფილების თანამშრომელთა კოლექტიური წერილი. წერილის ავტორები კატეგორიულად არ ეთანხმებიან ქ. ჭიათურის პროკურორის წარდგინების საფუძველზე, ჩვენს მიერ ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგის ნ. წერეთლის უარყოფითად დახასიათებას. გამორიცხავენ მასსა და ჩუბინიძეების ოჯახს შორის კონფლიქტს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ნ. წერეთელი, „თავისი წარსულითა და აწმყოთი, სამაგალითოა ჩვენს ქალაქში, როგორც პიროვნება და როგორც ხელმძღვანელი“. აღნიშნულის საფუძველზე, ქ. ჭიათურის პროკურატურაში არსებული მონაკვლევი მასალების გადამოწმებისას, გაირკვა შემდეგი:

1) გაუპატიურების ფაქტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ჩუბინიძეების ოჯახსა და განათლების განყოფილების გამგეს ნ. წერეთელს შორის კონფლიქტური სიტუაციის არსებობა დადასტურებულია ქ. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებლის ი. ჯაფარიძის, სახალხო განათლების განყოფილების ყოფილი გამგის გ. ცხადიაშვილის, ასევე მ. ჩუბინიძის დის შ. ჩუბინიძის ახსნა-განმარტებით და თვით ამ უკანასკნელის მიერ სამუშაო ადგილის შეცვლის ფაქტით (სამუშაოს შეცვლით გაიუარესა მატერიალური პირობები).

2) პირველი საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ა. ჩუბინიძე და ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი შ. ჩუბინიძე, განათლების განყოფილების გამგის ნ. წერეთლის 1986 წლის 8 აპრილის ბრძანებით, დათხოვნილ იქნენ სამუშაოდან. 1987 წლის 25 თებერვლის საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით შექმნილმა კომისიამ, რომლის მუშაობაში განათლების სამინისტროს, საორგანიზაციო საინსპექტორო განყოფილების ინსპექტორიც მონაწილეობდა, ჩუბინიძეების სამუშაოდან განთავისუფლება არასწორად ჩათვალა. მიუხედავად ამისა, ბრძანება მათი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ არ გაუქმებულა 1989 წლის 7 ივლისამდე.

3) განათლების განყოფილების გამგეს ნ. წერეთელს, მეორე საშუალო სკოლაში დირექტორად მუშაობის პერიოდში, 1979 წლის 12 ნოემბერს და 1983 წლის 8 დეკემბერს, განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით, მიღებული აქვს საყვედური „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1982-83 სასწავლო წლის გამოსაშვებ და კურსდამთავრებულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ, საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევისათვის, მასწავლებელთა მუშაობაზე არასაკმარისი კონტროლისათვის და მოსწავლეთა ცოდნის შეფასება-შემოწმებაში არსებული ნაკლოვანებებისათვის“ (ამ საყვედურების შემდეგ მას აწინაურებენ ქ. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე).

4) ნ. წერეთლის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობის პერიოდში ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანის, ქ. ჭიათურის მეოთხე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ყოფილი მოსწავლის გაუპატიურების ფაქტს. ეს შემთხვევა განათლების განყოფილების მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

5) საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის 1988 წლის 16 ივნისის ბიუროს დადგენილებით, განათლების განყოფილების გამგეს, სკკპ წევრს ნ. გ. წერეთელს, დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების საქმიანობაზე ნაკლები მომთხოვნელობისა და კონტროლისათვის, რასაც მოჰყვა უბედური შემთხვევა, გამოცხადებული აქვს საყვედური.

6) 1987 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს სსრ განათლების კოლეგიამ, სკოლა-ინტერნატების მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომების მიუღებლობისათვის, განათლების განყოფილების გამგეს ნ. წერეთელს გამოუცხადა საყვედური.

7) 1987 წლის 27 იანვარს, საქალაქო კომიტეტის ბიურომ, სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ნ. წერეთელს გამოუცხადა საყვედური იმისათვის, რომ მან სათანადო კონტროლი არ განახორციელა და ვერ უზრუნველყო საბავშვო ბაგა-ბაღებში წესიერი მუშაობა.

1987 წლის 13 მაისს, ნ. წერეთელმა შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს: [illegible] „განათლების განყოფილებას თქვენი რეზოლუციით შემოვიდა თქვენს სახელზე დაწერილი ნ. წერეთლის განცხადება, რომელიც გთხოვთ ჩვენს განყოფილებას გამოუყოთ მსუბუქი ავტომანქანა „ნივა“. როგორც თქვენთვის ცნობილია, განათლების განყოფილებას არცერთი მანქანა არ ერიცხება და არც ემსახურება. სამოქმედო ტერიტორია კი დიდია და გამგისთვის მანქანა საჭიროა. თუ თქვენ დროულად გამოგვიყოფთ ავტომანქანა „ნივას“, მაშინ იგი უნდა შეისყიდოს მან, რაც გაუადვილებს სოფლის სკოლებსა და საბავშვო ბაგა-ბაღებში მიმოსვლას. ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კონტროლი და დახმარების სისტემა, სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა“.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, ნ. წერეთელს 10 დღეში გამოუყო ავტომანქანა „ნივა“ ვაზ „21-21“. შემდეგ ხდება უცნაური

# მიაღწევენ თუ არა ჩუბინიძეები რეაბილიტაციას გარდაცვალებამდე

# ანუ

# პასუხი კოლექტიური წერილის ავტორებს

რამ. აი, როგორ ახსნა-განმარტებას აძლევს კომისიას თვითონ ნ. წერეთელი (სტილი დაცულია):

„აღნიშნული მანქანა მინდოდა გამომეყენებინა მართლაც სამსახურებრივი საქმისათვის, მაგრამ მისი გამოყენების პერიოდში შემექმნა მთელი რიგი სიძნელეები:

მე თვითონ ვერ დავეუფლე მანქანის მართვას.

მანქანისათვის ბენზინს საკუთარი ფულით ვყიდულობდი, ბუღალტერიამ არ გამინაღდა ობიექტებზე გასვლის დროს დახარჯული ბენზინის საფასური (მე კი ვფიქრობდი, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა).

არ მყავდა მძღოლი და ვინც შემხვდებოდა ყველას ვაჯენდი მანქანაზე; ოღონდ კი წავეყვანე ობიექტებზე. კიდევ მრავალი წვრილმანის გამო იძულებული გავხდი მანქანა დამეყენებინა სახლში, რაც გავაკეთე კიდევაც. შემდეგ, 1988 წლის ზაფხულში ჩემი კუთვნილი მანქანა მინდობილობით მივეცი ჩემს ძმას, რომელიც თბილისში ცხოვრობს. მე მანქანა სასპეკულაციოდ არ გამომიყენებია, იგი გადავეცი ჩემს ძმას და ამაში კანონის დარღვევას მე ვერაფერს ვხედავ.... მყავს ერთადერთი ძმა და მისთვის მინდა ყველაფერი“.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. როგორც ვხედავთ, ქალბატონ ნ. წერეთელს არც ისეთი „სამაგალითო“ წარსული ჰქონია. ვფიქრობთ, ვერც აწმყოთი დაიტრაბახებს.

გეკითხებით, კოლექტიური წერილის ავტორებო, თქვენი ხელმძღვანელის სამსახურებრივი წარსულისა და ჩუბინიძეების ოჯახთან მისი დამოკიდებულების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაშიც კი, როგორ შევაფასოთ რაიონში (ქალაქში) ყველაზე ჰუმანური და სათუთი სფეროს წინამძღოლის უპრინციპობა და საკუთარი თანამშრომლის გაწირვის ფაქტი? კიდევაც რომ ვირწმუნოთ, მ. ჩუბინიძის მიმართ უსუსური ბრა- [illegible] მოქმედება, როდესაც იმავე დახასიათებაში არაფერს ამბობს მ. ჩუბინიძის დამსახურებაზე. მაგალითად იმაზე, რომ ის იყო მასწავლებელთა მეხუთე ყრილობის დელეგატი, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი, სადაც გამოცხადებული ჰქონდა რექტორის მადლობა? რით იყო გამოწვეული 1985 წლის 28 აგვისტოს ქ. ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომელთა საერთო კრებაზე ნ. წერეთლის აქტიურობა, სადაც კოლექტივი ფაქტობრივად აამხედრა გაუსამართლებელი მ. ჩუბინიძის წინააღმდეგ შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ვგმობთ მ. ჩუბინიძის მიერ ჩადენილ დანაშაულს და მთელი კოლექტივის სახელით მოვითხოვთ დამნაშავის მკაცრად დასჯას, ადრეც მოვითხოვდით მის დასჯას, მაგრამ არ გვქონდა ოფიციალური მტკიცება იმისა, რომ გაგვეთავისუფლებინა სამუშაოდან და გაგვერიცხა პარტიიდან; მე პირადად ვიკისრებდი საზოგადოებრივი ბრალმდებლის როლს, რომ საქმეში არ ვიყო დაკითხული მოწმედ“.

ჩვენს მიზანს, კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეადგენს მტკიცება იმისა, თუ პირველად ვისგან წამოვიდა მ. ჩუბინიძის მიმართ საზიზღარი ცილისმწამებლური ბრალდება, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით მაშინდელი ხელმძღვანელობისა (მათ შორის ნ. წერეთლის) და სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივ მოქმედებას (მაგ. განათლების განყოფილების თანამშრომელთა კრებას, სადაც ნ. წერეთელი ასე აქტიურობდა, გამომძიებელი პ. ქობულაძეც ესწრებოდა). ამ მოქმედებათა აზრს საკუთარი უსუსურობის, უწყებრიობის, მუნდირის ღირსების დაცვის, თუ დანაშაულში საკუთარი წილის დაფარვის ავადსახსენებელი ტენდენცია შეადგენდა. ყოველივე დამახასიათებელი იყო კომუნისტური რეჟიმისათვის, რაც, სამწუხაროდ, შემკვიდრეობად გვერგო. ასეთ დროს შავანნი აღვსილნი იყვნენ სურვილით, მკაცრად, სამაგალითოდ დაესაჯათ პიროვნება და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, იმსახურებდა თუ არა ამას სამსხვერპლოდ განწირული. ეს იყო სისტემა, სადაც თვით თანამდებობის პირებიც კი, უბრალოდ ჭანჭიკებს წარმოადგენდნენ, თუ არ დაიცავდნენ გაბატონებულ თამაშის წესს, რომლის უმთავრესი დანიშნულება პიროვნების დათრგუნვაში მდგომარეობდა. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ რესპუბლიკის პროკურორი, ბ-ნი ვ. რაზმაძე, თავიდანვე იყო დარწმუნებული მ. ჩუბინიძის უდანაშაულობაში, მაგრამ იგივე თამაშის წესის მიხედვით, მ. ჩუბინიძის მკაცრად დასჯას, ჩვეულებისამებრ, დაუყოვნებლივ მოჰყვა დასჯის აქტიურ მონაწილეთა და მომხრეთა ან დაწინაურება, ანდა მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება. ამ ფაქტის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს გამომძიებელ პ. ქობულაძის დაწინაურება საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად. ხოლო, იგივე თამაშის წესის მიხედვით, თუ მოხდებოდა სასწაული და უდანაშაულო ადამიანს გაამართლებდნენ, გამართლებულის ერთ დროს დასჯის მომხრენი და ხელშემწყობნი არა თუ დაუსჯელნი რჩებოდნენ, არამედ მაღალ მდგომარეობასაც ინარჩუნებდნენ (ასე მოხდა მ. ჩუბინიძის საქმეზეც). ჩვენს მიზანს სწორედ ამ თამაშის წესის შეცვლა წარმოადგენს, უდანაშაულო კაცის დასჯა გაცილებით დიდი დანაშაულია, ვიდრე დამნაშავის დაუსჯელობა, ამიტომაც კაცის გამართლებას ცალსახად უნდა მოჰყვეს ყველა იმ პირების მკაცრად დასჯა, ვისაც გარკვეული ბრალი მიუძღვის მის გაუბედურებაში, აღარაფერს ვამბობთ უსიტყვო რეაბილიტაციაზე.

თუ ერთ დროს, პრესითა და ტელევიზიით, მ. ჩუბინიძის პიროვნება საქვეყნოდ ლაფში ამოსვარეს, იქნებ დროა, იმავე საშუალებებით, თავდაცვის ნაცვლად, ბოდიშის მოხდით გვეზრუნა მ. ჩუბინიძის ავტორიტეტის აღსადგენად.

იქნებ დროა, ამავე თანამდებობის პირებმა (თუნდაც ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, ბატონმა ვ. რაზმაძემ) დაიწყონ დანაპირების აღსრულება და მ. ჩუბინიძის რეაბილიტირების მიზნით საქვეყნოდ განაცხადონ, რომ მ. ჩუბინიძე უდანაშაულოდ დასაჯეს.

ჩუბინიძეებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ მათ ბატონი ვ. რაზმაძე შეპირდა: „ოღონდ კი განაჩენი გამოუტანონ დამნაშავეს და ქ. ჭიათურაში რესპუბლიკის პროკურატურიდან სპეციალური ჯგუფის მივლინებით მოვახდენთ ხალხში თქვენს რეაბილიტაციას (თუმცა, ჯგუფის გაშვება მ. ჩუბინიძის სარეაბილიტაციოდ ქ. ჭიათურაში, ფხალაძისათვის განაჩენის გამოტანამდე უნდოდა ბატონ რაზმაძეს და მით უფრო, შემდეგში რამ შეუშალა ხელი — ა. ჩ.), ხალხის წინაშე ბოდიშს მოგიხდით, რის შესახებაც დავწერთ პრესაში და ფართოდ გავაშუქებთ ტელევიზიით, საზოგადოებას ვამცნობთ ვინ არის ნამდვილი დამნაშავე და როგორ მოხდა მ. ჩუბინიძის უკანონოდ დასჯა.

იქნებ დადგა დრო, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა შეიგნოს თვით დანაშაულის არსებობაში მისი ნებსითი თუ უნებლიე მონაწილეობა.

**ვ. დომუხოვსკი**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის წევრი და პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომისიის თავმჯდომარე**

**ზ. დგებუაძე**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის კონსულტანტი**


**გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი**

# „თავისუფალი საქართველო“

ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.
3 თვით—6 მან. 45 კაპ.
6 თვით—12 მან. 90 კაპ.
12 თვით—25 მან. 80 კაპ.



რედაქტორი თამარ ჩხეიძე

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მერაბ მაჭავარიანი, გურამ კატრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ ფულესკირი, მარიკა აბაიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 99-81-67.

ინდექსი 68421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოზარაულის ქუჩა № 29